ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

28 აგვისტო - 3 სექტემბერი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ეშლი შარპის სასამართლო ვერდიქტი

შეფილდის სასამართლომ, ციხის ყოფილი ოფიცერი, 42 წლის ეშლი შარპი, დამნაშავედ ცნო ძალადობრივი ექსტრემისტული მასალების ფლობასა და გავრცელებაში და სასჯელის სახით, 13-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. გავრცელებული ინფორმაციით, შარპის ხელთ არსებული დოკუმენტი - „White Resistance Manual“ ტერორისტული თავდასხმების განხორციელების ინსტრუქციებთან ერთად, დეტალურად აღწერდა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის სხვადასხვა მეთოდს.

01.09.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ფინეთში

ფინეთის პროკურატურამ დაადასტურა ინფორმაცია ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, იარაღის ნაწილების 3D პრინტერით მომზადების, ადგილობრივი ეთნიკური კონფლიქტის გაღვივების და ტერორისტული თავდასხმების დაგეგმვის ბრალდებებით, 3 ულტრამემარჯვენე იდეებით მოტივირებული პირის დაკავების შესახებ.

31.08.2023

ლარისა შირაკოვას სასამართლო საქმე

გასულ კვირას, ბელარუსელ ჟურნალისტთა ასოციაციამ გაავრცელა ინფორმაცია 2022 წლის დეკემბერში, ქალაქ გომელში დაკავებული კოლეგის, ლარისა შირაკოვას სასამართლო ვერდიქტის შესახებ, რომლის თანახმადაც ჟურნალისტი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის გამო, ექსტრემისტული ორგანიზაციის საქმიანობის ფასილიტაციაში დამნაშავედ იქნა ცნობილი და სასჯელის სახით, 38-თვიანი პატიმრობა შეეფარდა.

01.09.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია მოდინში

მოდინში, მაკაბინის გამშვებ პუნქტზე 31 აგვისტოს განხორციელებულ თავდასხმაზე საპასუხოდ, რომელსაც სერჟანტი მაქსიმ მოლჩანოვი ემსხვერპლა, ისრაელის თავდაცვის ძალები სოფელ ამარში თავდასხმაზე პასუხისმგებელი პირების სამძებრო სამუშაოები ჩაატარეს. გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი ნეიტრალიზებულია.

01.09.2023

კონტრტერორისტულ სპეცოპერაციათა სერია ერაყში

ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) წინააღმდეგ, გასულ კვირას ბაღდადის ჩრდილოეთით განხორციელებული წერტილოვანი საჰაერო დარტყმების და სადაზვერვო სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ტერორისტული ორგანიზაციის 4 და დაკავებულია მისი 3 წევრი.

30.08.2023

ბოლა ტინუბუს მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტრტერორიზმის ოფისს (UNOCT)

ნიგერიის პრეზიდენტმა, ბოლა აჰმედ ტინუბუმ, 31 აგვისტოს გამართული შეხვედრის ფარგლებში, თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტრტერორიზმის ოფისის ვიცე გენერალურ მდივანს, ვლადიმირ ვორონკოვს, გაეზარდა მისი მხარდაჭერა ნიგერიის კონტრტერორისტული ინიციატივების მიმართ. ბოლა ტინუბუს განმარტებით, ნიგერიაში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების დამარცხება, ქვეყანაში პროგრესის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

31.08.2023

ყირგიზეთის რესპუბლიკის ჰუმანიტარული მისიის შესახებ

ყირგიზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 30 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია, ჩატარებული ჰუმანიტარული მისიის შედეგად, სირიის წინასწარი დაკავების ბანაკებიდან ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს („დაეში“) მებრძოლების ცოლების და შვილების წარმატებული რეპატრიაციის შესახებ. სამინისტროს თანახმად, რეპატრიანტთა შორის 31 ქალი და 64 ბავშვია.

30.08.2023

ტერორისტული თავდასხმა ბანნუში

პაკისტანის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა დაადასტურა ინფორმაცია ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციაში, ჩრდილოეთ ვაზირისტანთან ახლოს, განხორციელებული სუიციდური ტერორისტული თავდასხმის შედეგად ცხრა ჯარისკაცის გარდაცვალებისა და ოცის მძიმედ დაშავების შესახებ. მომხდარზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

31.08.2023